



რეგისტრაციის N _____

მიღების თარიღი: __/__/__

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება

„სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ფორმასთან დაკავშირებით, კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე +995 422-27-00-99 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისამართზე: const@constcourt.ge; ვებგვერდი: www.constcourt.ge

თუ რომელიმე პუნქტის შესავსებად გამოყოფილი ადგილი არ იქნება საკმარისი, შეგიძლიათ ფორმას დამატებითი გვერდი დაურთოთ. ყოველ დამატებით გვერდზე გადაიტანეთ იმ პუნქტის სათაური, რომელსაც ავსებთ. წერის დასრულების შემდეგ ფორმა დანომრეთ.

I. ფორმალური ნაწილი

1. მოსაზრების ავტორის რეკვიზიტები:

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“	204569617	ქ. თბილისი, ა. გრიბოედოვის ქ. 3
სახელი, გვარი/სახელწოდება	პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი	მისამართი
	+995322921514	info@idfi.ge
ალტერნატიული მისამართი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა

2. საქმის დასახელება, რომელთან დაკავშირებით არის შედგენილი მოსაზრება [შენიშვნა 1](#)

„საქართველოს მოქალაქეები გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მათი ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

შენიშვნა 1 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს კონსტიტუციური სარჩელის ნომერი, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება ან/და სხვა ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც სასამართლოსთვის ცხადი გახდება, თუ რომელ საქმესთან დაკავშირებითაა მომზადებული მოსაზრება.

II. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრება შენიშვნა 2

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარმოდგენა განაპირობა საქმის აქტუალურობამ და სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვების ინტენსივობამ. კერძოდ, ერთ-ერთი სადავო ნორმის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოქმედებით, პროკურორსა და გამომძიებელს აქვთ განუზომელი უფლებამოსილება, შეზღუდონ დაცვის მხარის (ბრალდებულისა და მისი ადვოკატების) გამოხატვის თავისუფლება, რაც, სხვა დანარჩენთან ერთად, იწვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევას. საბოლოო ჯამში, საზოგადოებასაც მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე უყალიბდება კონკრეტული საქმის მიმართ დამოკიდებულება, რადგან, სადავო ნორმათა მოქმედებით, ბრალდების მხარეს, დაცვის მხარისაგან განსხვავებით, შეუძლია გარკვეული ინფორმაცია წარუდგინოს საზოგადოებას. აღნიშნული კი პრობლემურია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე გიორგი მამალაძისა და მისი ადვოკატებთან მიმართებით მალალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

სასამართლო მეგობრის მოსაზრების წარმოდგენა ასევე განაპირობა იმ ფაქტმა, რომ გიორგი მამალაძის წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეში სასამართლო სხდომები დაიხურა როგორც საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში, ისე თბილისის სააპელაციო სასამართლოსი განხილვისას. შესაბამისად, საზოგადოებას აღნიშნულ საქმესთან მიმართებით სასამართლო სხდომებთან დაკავშირებული დეტალების გაცნობის შესაძლებლობა ფაქტობრივად არ ჰქონდა, რაც, თავის მხრივ, ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის დარღვევას გულისხმობს და, რაც მთავარია, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის რისკს აჩენს.

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მიმართა კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის N857), რომელიც ეხებოდა საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას მიღებული/დამუშავებული აქტების ხელმისაწვდომობის საკითხს. აღნიშნული აქტები წარმოადგენს, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის სახელმწიფოში, საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტს. მიუხედავად ამისა, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში დადგენილი იყო საჯარო ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვის ზოგადი წესი - პერსონალური მონაცემების დაცვა.

უფრო ზუსტად, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ პირს სასამართლო გადაწყვეტილებები დამტრიახული სახით მიეწოდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო სხდომა ღია იყო და, შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ კონსტიტუციურ სარჩელში ასახული პოზიციის თანახმად, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული მსგავსი შეზღუდვა არაკონსტიტუციურია, საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ სახელმწიფოს.

საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მაია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმებით იზღუდება საზოგადოების წვდომა იმ ინფორმაციაზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისათვის საჯარო უნდა იყოს, რაც, თავის მხრივ, ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის რისკს ჰზადებს. კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ერთ-ერთი ნორმის მოქმედების პირობებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად პირი, რომლის პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან

შენიშვნა 2 - ქვემოთ მოცემულ ველში უნდა მიეთითოს „სასამართლოს მეგობრის“ არგუმენტები და მის მიერ მოყვანილი მტკიცებულებები რომლებითაც ის ასაბუთებს საქმესთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას.

კომერციული საიდუმლოების შესახებ ინფორმაციაც შესაძლოა გასაჯაროვდეს სასამართლო სხდომაზე, თანახმაა, სასამართლოს შესაძლებლობა აქვს მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე დახუროს სხდომა.

შესაბამისად, საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ გამხდარი ნორმებით დაწესებული შეზღუდვა დემოკრატიული საზოგადოებისათვის რისკის შემცველია, ვინაიდან სასამართლო სხდომის მიმდინარეობის საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომლობა არა მხოლოდ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპს არღვევს, არამედ ბრალდებულის უფლებასაც, წვდომა ჰქონდეს სამართლიანი სასამართლოზე ეჭვქვეშ აყენებს.

ყოველივე ზემოთქმულისა და სადავო ნორმების ფარგლებში წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სასამართლო მეგობრის პოზიციას.

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის კონსტიტუციურობა

1.1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის კონსტიტუციურობა

1.1.1. სადავო ნორმის შინაარსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო. ამ მიზნით ის უფლებამოსილია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაავალდებულოს, მისი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნოს საქმეში არსებული ცნობები და გააფრთხილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.“¹

არ არსებობს კონკრეტულად და ცალსახად ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომელიც მიუთითებდა, თუ რა იგულისხმება პროკურორისა და გამომძიებლის უფლებამოსილებაში, დაავალდებულონ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე, მათი ნებართვის გარეშე არ გაამჟღავნონ საქმეში არსებული ცნობები. საინტერესოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აკადემიური კომენტარების თანახმად, პროკურორის/გამომძიებლის ეს უფლებამოსილება შესაძლოა მიემართებოდეს პროცესის სხვადასხვა მონაწილეს:

- 1) მოწმეს - პროკურორს/გამომძიებელს უფლებამოსილება აქვთ დაავალდებულონ მოწმე არ გაამჟღავნოს მისი ჩვენების შინაარსი; (თუმცა ამ ნაწილში აკადემიური კომენტარები არ პასუხობს შეკითხვას, რამდენად ეს ჩანაწერი ბრალდებულზეც ვრცელდება, როცა ეს უკანასკნელი შესაძლოა იკითხებოდეს, როგორც მოწმე)
- 2) დაზარალებული - დაავალდებულონ არ გაამჟღავნოს მისი ჩვენების შინაარსი;²
- 3) ბრალდებულის ადვოკატს - აუკრძალოს მისთვის ბრალდების მხარის მიერ გაცემული მტკიცებულებების გაცნობის შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება;
- 4) ექსპერტს- დაავალდებულოს არ გაავრცელოს ინფორმაცია ექსპერტიზის დასკვნის შესახებ;³

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი, 2015, 334

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015, 335

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლი, მართალია, თავად არ მოიცავს ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის თანმდევ შედეგს, თუმცა, თუ მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლთან ერთიანობაში წავიკითხავთ, ნათელი ხდება, რომ, პროცესის მონაწილე პირის მიერ პროკურორის/გამომძიებლის ამგვარი გაფრთხილების უგულვებელყოფის შემთხვევაში, ამ წესის დამრღვევი პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება.⁴

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის სიტყვასიტყვითი წაკითხვითა და მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, ცხადია, რომ პროკურორსა და გამომძიებელს აქვთ ერთპიროვნული უფლებამოსილება პროცესის სხვადასხვა მონაწილეს კონკრეტული ინფორმაციის გავრცელება აუკრძალონ. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ ნაწილში არ არსებობს დამატებითი სასამართლო კონტროლი - არ არსებობს პროკურორის/გამომძიებლის დასახელებული გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობა.

გარდა ზემოთქმულისა, სადავოდ გამხდარი ნორმის ფარგლებში ვხვდებით სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც, პრობლემურობიდან გამომდინარე, დამატებით და განცალკევებით მსჯელობას საჭიროებს.

1.1.2. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან

1.1.2.1. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.“⁵ ეს მუხლი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ფართოდ განიმარტება. როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, იგი „არა მხოლოდ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის შესაბამისი კანონის არსებობის აუცილებლობას, არამედ ადგენს პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონის ხარისხობრივ სტანდარტებს“.⁶

ამავე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ კანონი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, „თუ იგი პასუხობს განსაზღვრულობის კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნებს.“⁷ უფრო ზუსტად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონი შეიძლება ჩაითვალოს განუსაზღვრელად, როცა განმარტების ყველა მეთოდი მოსინჯულია, მაგრამ მაინც გაურკვეველია მისი ნამდვილი შინაარსი, ანდა არსი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი მოქმედების ფარგლები.“⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განუჭვრეტადი ნორმის გამო, ადამიანებმა ზუსტად არ იციან რა შემთხვევაში დაარღვევენ კანონის მოთხოვნებს,

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლი

⁵ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის #2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II; პარ. 29

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის #2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II; პარ. 29

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.19

შესაბამისად, ისეთი ქმედებებისგანაც შეიძლება იკავებდნენ თავს, რომლის შეზღუდვის მიზანი კანონმდებელს არ ჰქონდა.⁹ დამატებით საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არა ორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით.“¹⁰

ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა განმარტებებიც. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, ნორმა არაკონსტიტუციურია, თუ „ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.“¹¹

უშუალოდ კანონის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპის მნიშვნელობასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ამ პრინციპების დაცვა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემულ მიზანს- სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.¹² გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის განსაზღვრულობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო კონტროლის დროული და ეფექტური განხორციელებისათვის.

ზემოთქმულის გარდა, კანონის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ადრესატთა სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისაგან დაცვაა. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ: „42-ე მუხლის მე-5 პუნქტის 1-ლი წინადადება უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, წინასწარ დადგენილი საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად შეძლოს იმისი განჭვრეტა, თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევა შესაბამისად წარმართოს, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა თვითნებური დევნისა¹³ და ბრალდების წინააღმდეგ.“¹⁴ საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპსაც დაუკავშირა.¹⁵

კანონის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპთან მიმართებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის ანალოგიურ სტანდარტს ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც. აღნიშნულზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის #2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.24

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.36

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე- ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 30

¹² მაგ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის #1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.14

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის#2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.30

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.1

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის #2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“

მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ სასამართლომ განმარტა ნორმის განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის პრინციპი, რა დროსაც მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.¹⁶

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „მაესტრი იტალიის წინააღმდეგ“ განმარტა, რომ კანონმა საკმარისი სიცხადით უნდა მიუთითოს ნებისმიერი იმგვარი უფლებამოსილების შესახებ, რომელიც ადამიანის უფლებაში ჩარევასთან არის დაკავშირებული. ¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც საქმეში „მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს შიდა კანონმდებლობა იმგვარად მოაწესრიგონ, რომ ინდივიდმა წინასწარ იცოდეს ის შედეგები, რომლებიც, შესაძლოა, მისმა ქმედებამ გამოიწვიოს. ¹⁸

ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს რომ განჭვრეტადობის კრიტერიუმი აბსტრაქტული ხასიათის არ არის. იგი მხოლოდ კანონის სიცხადეს არ მოითვს, არამედ გულისხმობს, რომ ინდივიდს, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჰქონდეს შესაძლებლობა, მთელი სიცხადით ივარაუდოს ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მის ქმედებას მოჰყვება. აგვარი მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განახორციელა საქმეზე „კანტონი საფრანგეთის წინააღმდეგ.“¹⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალოგიურ სტანდარტს იზიარებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის დებულებათა განმარტებისას არაერთხელ აღნიშნა კანონის განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის მოთხოვნათა განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებით, იმისათვის, რომ კონკრეტული სამართლებრივი ჩანაწერი მიჩნეულ იქნას კანონად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის მოთხოვნებს, რაც გულისხმობს პირის მიერ მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის განჭვრეტადობის შესაძლებლობასა და სამართლებრივი ჩანაწერის საკმარისი სიცხადეს. ²⁰

მიუხედავად ზემოთ მოცემული მსჯელობისა ნორმის განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის პრინციპის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ამ პრინციპებს უფულებელყოფს. კერძოდ, მუხლში ვხვდებით ჩანაწერს: „გამომიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია არ გახდეს საჯარო“, მაშინ, როცა ნათელი არ არის, რა იგულისხმება „გამომიების მიმდინარეობასა“ და სიტყვებში „არ გახდეს საჯარო.“

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ჩანაწერს სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის გამოყენებით წავიკითხავთ, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ნორმის მიზანს გამომიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა წარმოადგენს. ეს, ცხადია, გვაფიქრებინებს, რომ პროკურორსა და

¹⁶ მაგალითისათვის, დაასახელა შემდეგ საქმეებში მოცემული სტანდარტები: „ლენდერი შვედეთის წინააღმდეგ“, 1970 წლის 26 მარტი, პ.50; «კრუსლინი საფრანგეთის წინააღმდეგ», 1990 წლის 24 აპრილი, პ.27; «ჰუვიგი საფრანგეთის წინააღმდეგ», 1990 წლის 24 აპრილი; «კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ», 1998 წლის 25 მარტი, პ.55; «მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ», 1984 წლის 2 აგვისტო, პ.67; «ბართოლდი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ», 1985 წლის 25 მარტი, პ.45; «გრიგორიადესი საბერძნეთის წინააღმდეგ», 1997 წლის 25 ნოემბერი, პ.37

¹⁷ „მაესტრი იტალიის წინააღმდეგ“, პარ.30, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

¹⁸ „მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1984 წლის 2 აგვისტო

¹⁹ „კანტონი საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

²⁰ Mauritius (CCPR/Co/83/Mus,2005), par. 12 ; Russian Federation (CCPR/C/RUS/Co/6,2009). Par.24; Honduras (CCPR/C/HND/CO/1,2006),par.13

გამომძიებელს მიზნად უნდა ჰქონდეთ ამგვარი ინფორმაცია სრულად კონფიდენციალური იყოს, რაც ნიშნავს, რომ საქმესთან მიმართებით არცერთი ინფორმაცია არცერთი პირის მხრიდან არ უნდა ვრცელდებოდეს.

ვეთანხმებით პოზიციას, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა გამოძიებასთან დაკავშირებული ფაქტების გასაჯაროება არ იყოს მიზანშეწონილი და ამგვარი ფაქტების დაცვის მიზანი ლეგიტიმური იყოს, თუმცა, ვფიქრობთ, ასეთი შემთხვევა იქნება მაშინ, თუ ცნობილი არ არის ბრალდებულის ვინაობა. ასეთ დროს უმჯობესია ინფორმაცია არ გასაჯაროვდეს, რათა პოტენციურმა ბრალდებულმა არ გაიგოს მის მიმართ სავარაუდოდ წამოწყებული გამოძიების შესახებ და ამ გზით ხელი არ შეუშალოს გამოძიებას. თუმცა მიზანშეუწონელია ამგვარი ინფორმაციის გასაჯაროების აკრძალვა პროკურორისა ან გამომძიებლის მხრიდან, მაშინ, როცა ბრალდებული უკვე ცნობილია და არ არსებობს მისი მხრიდან გამოძიებისათვის ხელის შეშლის საფრთხე.

ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რეალობაში არსებული პრაქტიკა, რომლის გააზრების შედეგადაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სინამდვილეში პროკურორსა და გამომძიებელს შესაძლოა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზანი სრულებით არ ჰქონდეთ.

კერძოდ, დასახელებული სადავო ნორმა არ ითვალისწინებს განსხვავებულ სტანდარტს იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც უკვე ცნობილია საზოგადოებისათვის და გამოძიებასთან დაკავშირებული ჯერ კიდევ არასაჯარო ფაქტების შესახებ. ნორმა პროკურორსა და გამომძიებელს შესაძლებლობას აძლევს პროცესის მონაწილეებს აუკრძალოს იმ ინფორმაციის შესახებ საუბარიც კი, რომელიც საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია და, შესაბამისად, ეს გზა გამოიყენოს, როგორც დაცვის მხარისათვის ხელშეშლის ბერკეტი. აღნიშნულის შესაძლებლობა თავად ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან სხვაგვარ ჩანაწერს ან საგამონაკლისო შემთხვევებს სადავო ნორმა არ ითვალისწინებს. ეს უკანასკნელი არც შენიშვნის სახით არის მუხლზე თანდართული.

შესაბამისად, სადავო ნორმის ფარგლებში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, რა იგულისხმება ტერმინში „გამომძიების მიმდინარეობის შესახებ“ ინფორმაცია, რაც პროკურორსა და გამომძიებელს განუსაზღვრელ შესაძლებლობას აძლევს განსაზღვროს დაცვის მხარის მიერ კონკრეტულ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთების ან გასაჯაროების შესაძლებლობა, მაშინ, როცა თავად პროკურორს ან გამომძიებელს ამ ინფორმაციაზე საუბრის შესაძლებლობა თავად შეზღუდული არ აქვთ.

ზემოთქმულის გარდა, ასევე განუსაზღვრელია, თუ რა იგულისხმება სიტყვებში „არ გახდეს საჯარო“. კერძოდ, ნათელი არ არის, თუ რა მოცულობით გასაჯაროება იგულისხმება, რამდენად ფართოდ უნდა წავიკითხოთ სადავო ნორმის ეს ჩანაწერი. სადავოა, საჯაროობაში იგულისხმება თუ არა კონკრეტული ინფორმაციის ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომობა, თუ ნებისმიერი პირისათვის, მათ შორის პროცესის სხვა მონაწილისათვის მიწოდებაც კი უკვე გასაჯაროებად მიიჩნევა. მაგალითისათვის, არ არის ნათელი, ამ მუხლის საფუძველზე, პროკურორს შეუძლია თუ არა აუკრძალოს პროცესის მონაწილეს სხვა პროცესის მონაწილეებთანაც არ ისაუბროს კონკრეტული ფაქტების შესახებ, მაგალითად, აუკრძალოს ადვოკატსა და ბრალდებულს კონკრეტული დეტალების მოწმისათვის გადაცემა და ა.შ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სადავო ნორმა არღვევს კანონის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპს. სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში პროცესის მონაწილეებს არ აქვთ შესაძლებლობა ცხადად განჭვრიტონ მათთან მიმართებით მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები, რაც პროკურორსა და გამომძიებელს განუზომელ დისკრეციას აძლევს, თავად გადაწყვიტონ ეს საკითხები. ეს უკანასკნელი კი, მათი მხრიდან თვითნებური მოქმედებების რისკს ჰზადებს.

1.1.2.2. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტებთან

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „დაცვის უფლება გარანტირებულია.“²¹ ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი კი მიუთითებს: „ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს მისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.“²²

მართალია, არ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ დამცველის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაცვის უფლების უგულვებელყოფად, თუმცა ვეთანხმებით მოსარჩელეს, რომ, შეზღუდვის ბლანკეტურობისა და ინტენსივობის გათვალისწინებით, იგი პირდაპირ კავშირშია დაცვის უფლების განხორციელებასთანაც.

კერძოდ, სადავო ნორმის ფარგლებში დამცველებს შესაძლებლობა არ აქვთ ისარგებლონ გამოხატვის თავისუფლებით, კომენტარი გააკეთონ სხვადასხვა ინფორმაციაზე და ა.შ. მაშინაც კი, თუ გამოძიების შესახებ ეს ინფორმაცია თავად პროკურატურის მხრიდან ვრცელდება. შესაბამისად, დაცვის მხარე ფაქტობრივად მოკლებულია შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი პოზიცია ბრალდების მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციის წინააღმდეგ, რომელიც, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ბრალდებულის, ან უშუალოდ დამცველების საქმიან რეპუტაციასთან, პატივთან, ღირსებასთან, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით მნიშვნელოვანია მოვიხმოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები, რომლებიც აისახა 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“²³: კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის პირველი სამი ქვეპარაგრაფი იდენტური შინაარსის შემცველია. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ პირის უფლება დაესწროს პროცესს და გამოთქვას მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება უფრო ფართო გარანტიის - სამართლიანი სასამართლოს ფარგლებში, რაც მის დატვირთვას და დანიშნულებას უსვამს ხაზს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა ზოგადად, სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევასაც წარმოადგენს და ამ ნაწილში გაუმართლებელია (რაზეც დეტალური მსჯელობა ქვემოთ იქნება მოცემული), სადავო ნორმის კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებითაც იგივე მსჯელობა უნდა გამოვიყენოთ. კერძოდ, იგულისხმება, რომ პროკურორის ან გამომძიებლის მიერ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების ნაწილში, რა დროსაც გამოირიცხება საკითხთან მიმართებით სასამართლოს კონტროლი, ირღვევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც ამ ნაწილში ავტომატურად გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევასაც.

ამ ნაწილში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმა იძლევა შესაძლებლობას დაცვის მხარეს ხელი შეუშალოს საპროცესო მოქმედებების ჩატარებაში, რაც რიგ შემთხვევებში შესაძლოა არღვევდეს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებულის უფლებას,

²¹ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი

²² საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.2

მოითხოვოს მისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

მაგალითისათვის, ამ ნაწილში იგულისხმება ვითარება, როცა დაცვის მხარე პროცესისათვის ამზადებს მოწმეებს, ან უბრალოდ გამოკითხვას მათ ინფორმაციას, თუმცა ამ პროცესში შესაძლებლობა არ აქვს მათ კითხვები დაუსვას იმ მონაცემების შესახებ, რომელთა გასაჯაროებაც პროკურორის ან გამომძიებლის მხრიდან აქვს აკრძალული. შესაბამისად, ცხადია, ასეთ დროს დაცვის მხარე უფლებამოსილი არ არის ბრალდების მხარის თანაბარ პირობებში ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედებები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს.

1.1.2.3. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.“²⁴

როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სამართლიანი სასამართლოს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის (სარჩელის შეტანის) შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებას და სამართლებრივ შეფასებას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. ამასთან, იმისათვის, რომ შედგეს კონკრეტული დავის სამართლიანი განხილვა და მიღებულ იქნეს ობიექტური გადაწყვეტილება, ეს უფლება მოიცავს შესაძლებლობათა შემდეგ მინიმუმს: პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით. სასამართლო განხილვა უნდა მოხდეს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში და საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ.²⁵

სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგად მნიშვნელობასთან მიმართებით ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება ასახული საქმეში „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის განმარტებისათვის მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ მისი ბმა კონსტიტუციის მე-7 მუხლთან.²⁶

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს: „საქართველოს სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს.“

²⁷საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოთქმულ გადაწყვეტილებაში განმარტა კონსტიტუციის მე-7 მუხლის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ზოგადად უფლებების დაცვის მნიშვნელობას ეხება და მიუთითა: „კონსტიტუციის მე-7 მუხლი ძირითად უფლებებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს უწოდებს. საყოველთაოდ აღიარება, თავისთავად, უფლებად დამატებით

²⁴ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

²⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 1

²⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.3

²⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი

შინაარსს არ სძენს. ასეთი ჩანაწერი მხოლოდ ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ძირითადი უფლებების თაობაზე არსებობს საერთაშორისო, საყოველთაო თანხმობა, რომ ისინი ყოველი ადამიანის წარუვალი და უზენაესი ღირებულებებია.“²⁸

ამავე გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, თავად უფლებათა არსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ უფლებების ცნობა პირველ რიგში გულისხმობს მათი, როგორც ყოველი ადამიანის თანმდევი სიკეთის აღიარების ვალდებულებას. დაცვა თავის თავში მოიცავს, ზოგადად, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობას, ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, მათ შორის ამ უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის უზრუნველყოფელი ყველა საჭირო ბერკეტის გარანტირებას, მათ შორის ამ უფლებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობის ჩათვლით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ასევე ნათლად გამოიკვეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების კავშირი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპსა ²⁹ და კანონის უზენაესობის პრინციპთან.³⁰

სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელობაზე ასევე ხაზგასმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.“³¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს გასაჩივრების უფლებასაც. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს სტანდარტი დაადგინა თავის 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, სადაც სასამართლო განხილვის საგანს წარმოადგენდა ორი დამოუკიდებელი დავა. ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა სადავო ნორმას, რომლის ფარგლებშიც 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შეფარდებისას გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში აკრძალული იყო.

გასაჩივრების უფლებასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე იმსჯელა 2014 წლის 29 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს წარდგინებასთან დაკავშირებითაც საქმეზე N3/3/601, სადაც მიუთითა, რომ: „სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლების დაცვითი საშუალება, თუ პირი არ იქნება აღჭურვილი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობით.“³² მეტიც, ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ ისიც კი აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოიცავს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, არამედ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრის შეტანის უფლებასაც.“ ³³

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის #1/3/393,397 საქმეზე , II, პარ.1

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის #1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.14

³² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინებასთან დაკავშირებით საქმეზე N3/3/601

³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რა დროსაც იგი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ციტირებდა: „გასაჩივრების უფლება სამართალწარმოებაში დაშვებული შესაძლო შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა.“³⁴

განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმის ფარგლებში პროკურორს და გამომძიებელს უფლებამოსილება აქვთ ერთპიროვნულად, განუსაზღვრელი ვადით, ბლანკეტური შეზღუდვა დაუწესონ პროცესის მონაწილეებს და აუკრძალონ ინფორმაციის გასაჯაროება, რაც მათ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას წარმოადგენს. შესაბამისად, ირლენდა პროცესის მონაწილეთა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული უფლება. მიუხედავად ამისა, არ არსებობს პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. შესაბამისად, იზღუდება სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

მართალია, სამართლიანი სასამართლოს უფლება არ არის აბსოლუტური და იგი შესაძლოა დაექვემდებაროს შეზღუდვას დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობისას,³⁵ თუმცა ჩვენთვის გაუგებარია რა შეიძლება წარმოადგენდეს მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმის მიზანს.

უფრო ზუსტად, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ტესტი გულისხმობს: „შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაზომიერება შეზღუდვის გამოყენებულ საშუალებებსა და აღნიშნული შეზღუდვის კანონიერ მიზანს შორის.“³⁶ განსახილველ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ იარსებებდა ლეგიტიმური მიზანი, რომელსაც შესაძლოა გაემართლებინა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა, სახეზეა პროპორციულობის პრინციპის დარღვევა. კერძოდ, სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა არ არის ჰიპოთეტური მიზნის მისაღწევი თანაზომიერი საშუალება, რაზეც მიუთითებს შეზღუდვის ბლანკეტურობა.

ამ ნაწილში ასევე გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდვა ეხება არამარტო გამოხატვის თავისუფლებას, არამედ დაცვის უფლებასაც, რაც მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს, ხოლო, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „რაც უფრო მნიშვნელოვანია ინტერესი, როლის დაცვა პირს სასამართლოს მეშვეობით სურს, მით უფრო მკაცრია კრიტერიუმები, რომლებიც სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვის კონსტიტუციურობის შესაფასებლად გამოიყენება.“³⁷

სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვასთან მიმართებით იგივე სტანდარტი მოიაზრება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებითაც. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სასამართლოს ხელმისაწვდომობა შესაძლოა დაექვემდებაროს შეზღუდვებს, იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა ზიანს არ მიაყენებს თავად ამ უფლების არსს.³⁸ კერძოდ, შეზღუდვა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნით გამოწვეული, პროპორციული³⁹ და საკმარისად განჭვრეტადი.⁴⁰

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება #2/6/264 საქმეზე „შპს „უნივერსის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

³⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის #1/2/411 გადაწყვეტილება საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

³⁸ უინტერვი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Winterwero v. Nitherlands), სერია A. No. 33, 24.10.79, დუნავეი რუსეთის წინააღმდეგ (Dunayev v. Russia), No. 70142/01, 24.05.07

³⁹ მაგ: ხალფაუი საფრანგეთის წინააღმდეგ, (Khalfaoui v. France) N34791/97, 14.12.99 ; საეზ მასო ესპანეთის წინააღმდეგ (Saez Maeso v. Spain), N77837/01, 9.11.04 ; მელნიკი უკრაინის წინააღმდეგ, (Melnik v. Ukraine) N23436/03, 28.3.06

⁴⁰ იხილეთ, მაგალითად, Ligue du monde islamique და Organisation islamique mondiale du secours islamique

ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია, რომ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მსგავსად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიც კანონის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა იქნას წაკითხული. ⁴¹ აღნიშნული გულისხმობს უფლების რეალიზებისათვის აუცილებელ მექანიზმებს, მათ შორის გასაჩივრების უფლებასაც.⁴²

ზემოთქმული პირდაპირ კავშირშია თითოეული მხარის უფლებასთან, ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი საქმე იმ პირობებში, რაც მას არ აყენებს მნიშვნელოვნად არასახარბიელო მდგომარეობაში ოპონენტის წინაშე. ⁴³ შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ამ ნაწილში მხარეთა თანასწორობის პრინციპსაც მოიაზრებს, რომელიც მოითხოვს მხარეთა შესაძლებლობას, იცოდნენ და შეძლონ კომენტარი გააკეთონ მათ მიმართ დამდგარ სამართლებრივ შედეგებზე, ნებისმიერ წერილობით განაცხადსა⁴⁴ თუ მტკიცებულებაზე. განსახილველ შემთხვევაში კი სადავო ნორმის ფარგლებში არათუ კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა, არამედ დაცვის მხარეს უფლების შეზღუდვის შემთხვევაში ამ საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა საერთოდ არ აქვს. აღნიშნული ცხადია, არღვევს თანასწორობის პრინციპს ბრალდების მხარესა და დაცვის მხარეს შორის.

გარდა ამისა, ასევე უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მხარეთა თანასწორობის დაბალანსებაზე. მაგალითად, საქმეში „ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა და, შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევაც, ვინაიდან განმცხადებელს მიწის ჩამორთმევისათვის კომპენსაციასთან დაკავშირებული საქმის განხილვისას ოპონენტებად ჰყავდა, როგორც ჩამორთმევაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო, ისე „მთავრობის კომისარი“. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მთავრობის კომისარს უპირატესი წვდომა ჰქონდა კონკრეტულ ინფორმაციაზე და დომინანტურ როლს ასრულებდა საქმის წარმოებაში. ⁴⁵

განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმის ფარგლებში პროკურორი და გამომძიებელი, ანუ ბრალდების მხარე არის დომინანტურ პოზიციაში, ვინაიდან მათ აქვთ სრული უფლებამოსილება განსაზღვრონ სისხლის სამართლის პროცესის რომელ მონაწილეს როდის აუკრძალონ კონკრეტული ინფორმაციის გასაჯაროება. ამ პირობებში კი ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის მიმდინარე პროცესები შესაძლოა გასცდეს სამართლიანობის ჩარჩოს.

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ საერთაშორისო პრაქტიკა - სადავო ნორმის მსგავსი მოწესრიგება არ გვხვდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის პრაქტიკაც ჩვენთვის რელევანტურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ასპექტები სწორედ აშშ-ს სტანდარტების გათვალისწინებით არის შექმნილი.⁴⁶ სადავო ნორმის მსგავსი რეგულირება პოლონეთში არსებობდა, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ბობეკი პოლონეთის წინააღმდეგ“ იგი სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან შეუსაბამოდ სცნო. ⁴⁷

კერძოდ, ამ საქმეში განმცხადებელს შესაძლებლობა არ ჰქონდა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას

საფრანგეთისწინააღმდეგ (Ligue du monde islamique and Organisation islamique mondiale du secours islamique v.France, Nos. 36497/05 და 37172/05, 15.1.09

⁴¹ „ბელესი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ“, პარ. 49, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁴² „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁴³ „დე ჰასი და გიჯსელსი ბელგიის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁴⁴ „ბულუტი ავსტრიის წინააღმდეგ“, „აპეკი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁴⁵ „ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁴⁶ წყარო მისათითებელია ზუსტად

⁴⁷ „ბობეკი პოლონეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ჩანაწერები გაეკეთებინა. მას ჩანაწერების მომზადება მხოლოდ სპეციალურ დღიურში შეეძლო, რომელიც შემდეგში სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას ინახებოდა და მისი გამოყენება მხოლოდ ჩანაწერების ავტორს შეეძლო, მხოლოდ იმ ადგილას, სადაც სპეციალური დღიური ინახებოდა. გარდა ამისა, სასამართლო სხდომები იყო დახურული. სასამართლომ ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ საკუთარი ჩანაწერების სრულყოფილი გამოყენების აკრძალვა ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან ირღვეოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ასევე საგულისხმოა, რომ პოლონეთის სახელმწიფოს არგუმენტი ამ საქმეში იყო, რომ სასამართლო სხდომის დახურულობის მიზანი მოითხოვდა სხდომებზე გაკეთებული ჩანაწერებიც არ გასაჯაროებულიყო, რადგან ისინი საიდუმლო ინფორმაციის შემცველი შეიძლება ყოფილიყო.

განსახილველ შემთხვევაშიც ბრალდებულსა და მის ადვოკატებს უფლება არ აქვთ სასამართლო სხდომის მიმდინარეობის შესახებ გაამჟღავნონ ინფორმაცია, მათ შორის არც მათ მიერ გაკეთებული ჩანაწერების გამოქვეყნების შესაძლებლობა აქვთ. მართალია, პოლონეთისაგან განსხვავებით, სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას გაკეთებული ჩანაწერები სპეციალურ ადგილას არ ინახება, თუმცა შეზღუდვა მაინც იდენტურია და ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მოთხოვნას გულისხმობს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სადავო ნორმა წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.

1.1.3. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან

1.1.3.1. დაცულ სფეროში მოქცევა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“⁴⁸ ხოლო მე-4 პუნქტი კი დამატებით მიუთითებს: „ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“⁴⁹

1.1.3.2. შეზღუდვის ლეგიტიმურობა

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტური არ არის. შესაბამისად, მისი შეზღუდვა დასაშვებია სხვადასხვა შემთხვევაში ლეგიტიმური ინტერესის შესაბამისად.⁵⁰ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი თავად მიუთითებს, რა შემთხვევებშია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა

⁴⁸ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

⁴⁹ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის #1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.5

დასაშვები.

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვასთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირი შეზღუდვის მიზანსა და საშუალებას შორის. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის გასამართლებლად კონკრეტული საზოგადოებრივი სიკეთის დასახელება არ კმარა, აუცილებელია, რომ ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი არსებობდეს. სახელმწიფოს მიერ რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს გამოხატვის თავისუფლების იმგვარი შეზღუდვით, რომელიც აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვა ლეგიტიმურ მიზანს ლოგიკურად არ უკავშირდება - შეზღუდვა გაუმართლებელია.⁵¹

ამ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით ასევე აღნიშნა: იმისათვის, რომ უფლების შეზღუდვა ლეგიტიმური იყოს, არ არის საკმარისი მხოლოდ დასახელებულ მიზნებთან შესაბამისობის გარკვევა. სახელმწიფომ ის კი არ უნდა განაცხადოს, რომ კონკრეტული უფლება იზღუდება რაიმე მიზნის მისაღწევად, არამედ ისიც, რომ „ჩარევა გარდაუვალია კონსტიტუციით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, სახელმწიფომ მიზნის მიღწევის პროპორციულ და ნაკლებად მზღუდავ საშუალებას უნდა მიმართოს.“ ამრიგად „ამ უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არის გამართლებული.“⁵²

რომ შევაჯამოთ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იყოს, დაცულია თუ არა პროპორციულობა ინდივიდის უფლებასა და საჯარო ინტერესებს შორის. სახელმწიფო ვალდებულია ამტკიცოს, რომ კონკრეტული რეგულირება არის მიზნის მისაღწევი პროპორციული, ვიწროდ მიმართული და ნაკლებად მზღუდავი საშუალება. შესაბამისად, შეზღუდვა კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია, თუ ის დემოკრატიული საზოგადოების პირობებში კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი და თუ გამოხატვის შეზღუდვის შედეგად დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით გამოწვეულ ზიანს.

1.1.3.2.1. შეზღუდვები არ არის კანონით გათვალისწინებული

ზემოთქმულ შეზღუდვის სტანდარტებზე მსჯელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ, პირველ რიგში, შეზღუდვა კანონით არის გათვალისწინებული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, პირველ რიგში, კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული.

როგორც ზემოთ მსჯელობისას უკვე აღვნიშნეთ, სადავო ნორმა წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან, კერძოდ, ამ მუხლით გათვალისწინებულ ნორმის განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპთან. შესაბამისად, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ შეზღუდვა ვერ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულობის მოთხოვნას და სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევაც.

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლომ საქმეზე FCC v. Fox Television Stations Inc., განმარტა, რომ თუ შეზღუდვა პირის გამოხატვის თავისუფლებას ეხება, ამ შეზღუდვის დამდგენ ნებისმიერ ორგანოს ვალდებულია აქვს დაასაბუთოს, რატომ ცვლის თავის პრაქტიკას, რატომ ზღუდავს ამ უფლებას.

⁵¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 43-44

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის #1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.34

მოსამართლე კენედიმ ისიც კი მიუთითა, რომ თითოეულ შემთხვევაში ამგვარი შეზღუდვის განმახორციელებელი ორგანო ვალდებულია მიუთითოს, რამ განაპირობა მისი მოსაზრების შეცვლა, რატომ შეცვალა წინანდელი პრაქტიკა, უნდა ახსნას მიზეზები.⁵³ ამ ნაწილში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა განჭვრეტადობისა და განსაზღვრულობის პრინციპის მნიშვნელობა არა მხოლოდ ნორმის ბუნდოვანების დაუშვებლობას დაუკავშირეს, არამედ ნორმის გამოყენების მიმართ პირის მიერ მოლოდინების შექმნასაც.

განსახილველ შემთხვევაში კი, ბუნდოვანია, როგორც სადავო ნორმის შინაარსი, ასევე სადავოა, როგორ შეიძლება მოხდეს მისი გამოყენება. თუკი სადავო ნორმას სისტემურად წავიკითხავთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებთან ერთიანობაში, ცხადი ხდება, რომ პროკურორს და გამომძიებელს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვთ კონკრეტული დამატებითი დასაბუთების გარეშე შეუზღუდონ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს გამოხატვის თავისუფლება. ამისათვის მათ არ სჭირდებათ კონკრეტული დასაბუთება, რატომ შეცვალეს წინანდელი პრაქტიკა, ან რა იყო უწინდელი პრაქტიკა, რა შეიცვალა ახლა, რატომ არის აუცილებელი კონკრეტული პირისათვის ამგვარი შეზღუდვის დაწესება და ა.შ. მითუმეტეს საკითხს ამწვავებს ის ფაქტი, რომ ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

უფრო ზუსტად, განჭვრეტადობის პრინციპი საჯარო ორგანოთა გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასაც მოითხოვს, ხოლო, გარკვეულ საკითხებთან მიმართებით პრაქტიკის ცვლილების შემთხვევაში, საჯარო ორგანო ვალდებულია ამტკიცოს, რა გახდა აღნიშნულის მიზეზი, რატომ მიიღო მანამდე არსებული თანმიმდევრული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელების გამოხატვის თავისუფლება არაგანჭვრეტადი კანონის ფარგლებში იზღუდება, პროკურორსა და გამომძიებელს, როგორც ამ შეზღუდვის განხორციელების დისკრეციის მქონე პირებს, შესაძლებლობა აქვთ ერთპიროვნულად, ყოველგვარი დამატებითი დასაბუთების გარეშე მიიღონ განსხვავებული გადაწყვეტილებები, მათ შორის მსგავს საქმეებზეც.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტესტს ვერ აკმაყოფილებს, რადგან სახეზე არ არის შეზღუდვის გასამართლებლად აუცილებელი პირველივე წინაპირობა - შეზღუდვა არ არის კანონით გათვალისწინებული.

1.1.3.2.2. შეზღუდვა არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

ზემოთქმულის მიუხედავად შეგვიძლია ალტერნატიულად ვიმსჯელოთ, რომ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადავო ნორმა აკმაყოფილებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ტესტის პირველ წინაპირობას და არის კანონით გათვალისწინებული, აღნიშნული შეზღუდვა აუცილებელი არ არის დემოკრატიულ საზოგადოებაში.

შეზღუდვის დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის კრიტერიუმი მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. კერძოდ, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში დასახელებული მიზნით განპირობებულობის გარდა, აუცილებელია შეზღუდვა წარმოადგენდეს ამ მიზნის მისაღწევ საშუალებას და იგი უნდა იყოს პროპორციული. მხოლოდ ამ წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დამტკიცდეს, რომ შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა სადავო ნორმის მიზანს წარმოადგენდეს გამომძიებლის ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვა, რომელიც მოიაზრება კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ „სხვათა უფლებების დაცვაში“, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მიზანი რელევანტური შესაძლოა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის ვინაობა უცნობია და გამომძიებლის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შედეგად მან შესაძლოა ხელი შეუშალოს გამომძიებლის მიმდინარეობას, თუმცა, მაშინ, როცა

⁵³ FCC v. Fox Television Stations, Inc. , ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო

ბრალდებულის ვინაობა ცნობილია, ეს მიზანი კარგავს რელევანტურობას.

ამ ნაწილში რელევანტურია მოვიხმით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „ობზერვერი გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა რადგან წიგნი, რომლის პუბლიკაციაც გაერთიანებულ სამეფოში სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნებისათვის აიკრძალა, უკვე გამოქვეყნებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში და, შესაბამისად, ხელმისაწვდომი იყო გაერთიანებულ სამეფოშიც.⁵⁴

სადავო ნორმის შემთხვევაშიც, პროკურორს და გამომძიებელს შეუძლიათ აუკრძალონ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს კონკრეტულ ინფორმაციაზე საუბარი, გავრცელება, მაშინ, როცა ეს ინფორმაცია უკვე გავრცელებულია, მათ შორის შესაძლოა თავად ბრალდების მხარის მიერაც კი. შესაბამისად, ამ ნაწილში სადავო ნორმა ვერ იქნება გამოძიების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მისაღწევი გამოსადეგი საშუალება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩავთვლით, რომ სადავო ნორმით დაწესებული შეზღუდვა არის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი გამოსადეგი საშუალება, სადავოა, რამდენად არის მოცემული შეზღუდვა პროპორციული. როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, სადავო ნორმის მოქმედების პირობებში პროკურორსა და გამომძიებელს უფლება აქვთ განუსაზღვრელი ვადით, ბლანკეტურად, ყოველგვარი დამატებითი შეფასების გარეშე შეუზღუდონ სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე სხვა პირების გამოხატვის თავისუფლება. შესაბამისად, ამ ნაწილში ირღვევა შეზღუდვის პროპორციულობის მოთხოვნაც და სადავო ნორმა წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან.

ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაც საქმეზე „ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ“. ამ საქმეში მომჩივანს წარმოადგენდა ფინელი ადვოკატი. ამ საქმეში ფინეთის საერთო სასამართლოებმა ადვოკატს პასუხისმგებლობა დააკისრეს ბოროტი განზრახვის გარეშე ჩადენილი საჯარო დიფამაციისათვის, რაც გამოიხატებოდა ადვოკატის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში, რომ ბრალდების მხარე ბოროტად იყენებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას და მანიპულირებდა.⁵⁵

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული სტატუსი ადვოკატებს მართლმსაჯულების აღსრულების ეპიცენტრში აყენებს. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ადვოკატები არიან შუამავლები საზოგადოებასა და სასამართლოს შორის. სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ სასამართლო პროცესის მოსმენების დროს ადვოკატის სიტყვის თავისუფლებაში ჩარევამ შესაძლოა, შეამციროს მისი კლიენტი-ბრალდებულის უფლება სამართლიანი სასამართლოს განხილვის მოთხოვნის შესახებ. უფრო ზუსტად, სასამართლომ აღნიშნა, რომ პრინციპი „სამართლებრივი საშუალების თანასწორობისა, რომლითაც პროცესის ორივე მხარეა შეიარაღებული“ და, უფრო ზოგადად, პრინციპი სამართლიანი სასამართლო განხილვისა, მოწოდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალ და მწვავე პაექრობასაც კი მხარეებს შორის.

განსახილველ შემთხვევაში კი, სადავო ნორმა ბრალდების მხარეს შესაძლებლობას აძლევს გაავრცელოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია და აუკრძალოს დაცვის მხარეს თუნდაც უკვე გავრცელებულ ინფორმაციაზეც კი კომენტარის გაკეთება, რაც წარმოადგენს გაუმართლებელ ჩარევას როგორც ბრალდებულის ისე, ადვოკატების გამოხატვის თავისუფლებაში.

1.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის

⁵⁴ „ობზერვერი და გარდიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁵⁵ „ნიკულა ფინეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

კონსტიტუციურობა

1.2.1. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“⁵⁶

ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ შესაძლოა ნორმას ჰქონდეს მიზანი - გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე კონკრეტული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა. ჩვენ სადავოდ არ ვხდით იმ გარემოებასაც, რომ ამ მხრივ მხარეთა მიერ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, ისევე, როგორც სასამართლოს უნდა შეეძლოს ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება. ჩვენ პრობლემას ვხედავთ იმ ფაქტში, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი თავის თავში მოიაზრებს გასაჩივრების უფლებასაც, რომელიც სასამართლოზე ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ასევე ზემოთ მოხმობილი განმარტების ნაწილში ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლებაც ასევე დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის.

იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმა არ იძლევა გასაჩივრების შესაძლებლობას, ვფიქრობთ, რომ იგი წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან, რადგან ვერ ვხედავთ გასაჩივრების დაუშვებლობის ლეგიტიმურ მიზანს. შესაბამისად, შეზღუდვა არ არის განპირობებული ლეგიტიმური მიზნით და მნიშვნელობა ადარ აქვს შეზღუდვის პროპორციულობის მოთხოვნაზე მსჯელობას.

შესაძლოა, სავარაუდო ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდეს პროცესის ეკონომიურობის დაცვა, თუმცა შეუძლებელია ეს ინტერესი ამ შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ინტერესზე მაღლა დავაყენოთ, მითუმეტეს მაშინ, როცა სადავო ნორმით სახეზეა ბლანკეტური შეზღუდვა და სწორედ ამ შეზღუდვის გამო მხარემ შესაძლოა ვერ მოახერხოს დაცვის უფლებით სარგებლობა, შეეზღუდოს გამოხატვის თავისუფლება.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის კონსტიტუციურობა

2.1. სადავო ნორმის შინაარსი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად: „გამოძიების მონაცემის გახმაურება: ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მასალების ან გამოძიების მონაცემის გახმაურება იმის მიერ, ვინც კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული იყო მისი გახმაურების აკრძალვის შესახებ, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.“⁵⁷

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მსგავსად, ეს მუხლიც მიზნად ისახავს გამოძიების დროს მოპოვებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოცემული მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ჰყავს სპეციალური სუბიექტი, რაც ნიშნავს, რომ მისი ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური წრის ადამიანების მიერ, ამ შემთხვევაში, სისხლის სამართლის

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მე-2 ნაწილი

⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლი

პროცესის მონაწილეების მიერ.

უფრო მეტი სიზუსტისათვის შეგვიძლია გამოვყოთ ის წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სპეციალური სუბიექტი, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებას მიეცემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის მიზნებისათვის. კერძოდ, მუხლის აკადემიური კომენტარები და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა მოწმობს, რომ⁵⁸ აღნიშნულისათვის აუცილებელია სახეზე იყოს შემდეგი წინაპირობები:

- 1) პირი ფლობს ოპერატიულ-სამძებრო მასალებს;
- 2) პირი ფლობს გამოძიების მონაცემებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე;
- 3) პირის მიერ 1-ლ ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია არის მნიშვნელოვანი კონკრეტული საქმისათვის;
- 4) პირი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, გაფრთხილებული იყო პროკურორისა ან გამომძიებლის მიერ, რომ მის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება იყო დაუშვებელი;
- 5) აკრძალვის მიუხედავად, პირმა გაახმაურა ეს ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 1-ლი და მე-2 წინაპირობები ალტერნატიულია, შესაბამისად, პირი ან ოპერატიულ-სამძებრო მასალებს უნდა ფლობდეს, ან გამოძიების მონაცემებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა თითოეული მათგანი კუმულატიურ კავშირშია დანარჩენ წინაპირობებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა მათგანის არსებობა აუცილებელია, რათა პირი დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის მიზნებისათვის.

2.2. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტთან

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც წაკითხულ უნდა იქნას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლთან ერთიანობაში, არაგანჭვრეტადია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის 1-ლ წინადადებას. შესაბამისად, ამ ნაწილშიც, უშუალოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 374-ე მუხლის ჩანაწერთან მიმართებითაც იმავე მსჯელობას ვიზიარებთ და ვფიქრობთ, რომ დასახელებული მუხლიც ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოცემულ ჩანაწერს.

თუმცა ამ ნაწილში დამატებით შეგვიძლია აღვნიშნოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და სხვა საერთაშორისო წყაროების შესახებ, რომლებიც უშუალოდ თავისუფლების შემზღვევადი ნორმის განჭვრეტადობის საკითხს შეეხება.

მაგალითისათვის, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „მედვედევი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ“ მიუთითა სტანდარტის შესახებ, რომლის თანახმადაც, აუცილებელია, რომ თავისუფლების შემზღვევადი ნორმა ნათლად განსაზღვრული, წინასწარ განჭვრეტადი იყოს. მხოლოდ მაშინ, თუკი ეს პირობა დაცული იქნება, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ პირის დაკავება კონკრეტული კანონის საფუძველზე კანონიერი იყო.⁵⁹

ამ ნაწილში ასევე რელევანტურია გადაწყვეტილება საქმეზე „მოკალალი უკრაინის წინააღმდეგ“, სადაც

⁵⁸ ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II), მესამე გამოცემა, „მერიდიანი“, თბილისი 2009, 300-301

⁵⁹ „მედვედევი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სასამართლომ მიუთითა, რომ სიტყვები „კანონით გათვალისწინებულ პროცედურასთან შესაბამისობა“ არა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ პირის დაკავება კანონით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში უნდა მოხდეს, არამედ იგი მიემართება ამ ნორმის ხარისხსაც. კერძოდ, ნორმა უნდა იყოს ხელმისაწვდომი, განჭვრეტადი, ნათლად ჩამოყალიბებული, რათა მისი გამოყენებისას თვითნებობის საფრთხე არ არსებობდეს.⁶⁰

ასევე საქმეებში „ამური საფრანგეთის წინააღმდეგ“,⁶¹ „აბდოლხანი და კარიმინია თურქეთის წინააღმდეგ“,⁶² „თეირანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“⁶³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელეთა თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას ჰქონდა ადგილი და რომ მათი დაკავება უკანონო იყო სწორედ დაკავების საფუძვლად გამოყენებული ნორმის ბუნდოვანებისა და შესაბამისად, ნორმის მიერ განსაზღვრულობისა და განჭვრეტადობის პრინციპის დარღვევის გამო. სასამართლომ იგივე მსჯელობა ასახა თავის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ბარანკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“.⁶⁴

ასევე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება საქმეზე „ლონგა იონკეი ლატვიის წინააღმდეგ“,⁶⁵ სადაც საქმე ეხებოდა პირს, რომელიც თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებით ორი განაცხადის შეტანის შემდეგ საბოლოოდ კამერუნში დააბრუნეს. იგი ჩიოდა, რომ 2008 წლის დეკემბერსა და 2010 წლის იანვარში ლატვიაში მისი დაკავება არღვევდა მის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, ვინაიდან მისთვის წინასწარ განჭვრეტადი არ იყო დაკავების შესახებ და, შესაბამისად, დაკავება თვითნებურ აქტს წარმოადგენდა სახელმწიფოს მხრიდან. ამ საქმეზე სასამართლომ დაადგინა დარღვევა იმ საფუძვლით, რომ 2009 წლის 14 ივლისამდე, რა დროსაც ლატვიაში ახალი რეგულაცია შევიდა ძალაში, კანონმდებლობაში გამოიკვეთა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან წინააღმდეგობა, ვინაიდან ახალი კანონმდებლობა არ იყო ნათელი. შესაბამისად, მოსარჩელეს არ შეეძლო წინასწარ განეჭვრეტა მის მიმართ დამდგარი შედეგები.

ეს საქმე ზემოთ მოხმობილ საქმეებთან ერთად ნათლად მიგვითითებს იმ ფაქტის შესახებ, რომ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი ნორმის განჭვრეტადობასთან მიმართებით მკაცრია და ორიენტირებულია მის ადრესატზე. შესაბამისად, კანონიერების პრინციპი, რომლიდანაც თავად ნორმის განჭვრეტადობის პრინციპი გამომდინარეობს, ამ ნაწილში პირველ რიგში ნორმის ადრესატთა ლეგიტიმური მოლოდინების დაცვას გულისხმობს.

განჭვრეტადობის პრინციპთან მიმართებით მსჯელობისას შეგვიძლია მოვიხმოთ სხვადასხვა სახელმწიფოთა მაგალითებიც:

- **ისრაელი** - ამ ნაწილში რელევანტურია გამოვიყენოთ ისრაელის უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე „A. v. State of Israel“⁶⁶, სადაც ისრაელის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს მოუწიათ განემარტათ ბუნდოვანი ნორმა. ერთ-ერთმა მოსამართლემ, ენგლარდმა, კანონიერების პრინციპზე საუბრისას აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართალში და, იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლებრივ ნაწილში ნორმის რამდენიმე ინტერპრეტაციაა შესაძლებელი, ბრალდებულს ყველაზე მსუბუქი სასჯელი უნდა დაეკისროს. მისივე განმარტებით, კანონიერების პრინციპი კანონმდებლის პასუხისმგებლობას მოიაზრებს, რომ კანონები მაქსიმალურად განჭვრეტადი იყოს, რათა პირს შეეძლოს ერთმანეთისაგან განასხვავოს, რა არის ნებადართული, რა -აკრძალული.

⁶⁰ „მოკალალი უკრაინის წინააღმდეგ“, პარ.36, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁶¹ „ამური საფრანგეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁶² „აბდოლხანი და კარიმინია თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁶³ „თეირანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁶⁴ „ბარანკოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“, პარ.52, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁶⁵ „ლონგა იონკეი ლატვიის წინააღმდეგ“, პარ.120-134, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁶⁶ A. v. State of Israel, ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

- **გერმანია** - გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან ირკვევა, რომ იგი კანონის უზენაესობის პრინციპსა და მისგან მომდინარე კანონის განჭვრეტადობის პრინციპის ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტს იზიარებს. კერძოდ, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ვხვდებით მსგავს ჩანაწერს: „კანონმდებელმა სასჯელის დაკისრების უფლებამოსილება ერთმნიშვნელოვნად უნდა ჩამოაყალიბოს კანონში და ამასთან, იმდენად მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ამ უფლებამოსილების შინაარსი, მიზანი და მოცულობა (მასშტაბი), რომ სასჯელის წინაპირობები და მისი სახეობა მოქალაქემ განჭვრიტოს თვითონ უფლებამოსილების ფორმულირებიდან და არა - მის საფუძველზე გამოცემული განკარგულებიდან.“⁶⁷

გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ (2002 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებაში (მეორე სენატის გადაწყვეტილება, 2 BvR794/95,374) ისიც მიუთითა, რომ : „კანონმდებელი ვალდებულია, თვითონ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილებები სავარაუდო სამართლებრივი შედეგების სახესა და მასშტაბთან დაკავშირებით და მოსამართლეს შეძლებისდაგვარად მკაფიოდ მიუთითოს ზღვარი, რომლის ფარგლებშიც იგი მოქმედებს.“⁶⁸

გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, განჭვრეტადობის მოთხოვნას პირველ რიგში ნორმის შინაარსობრივი ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ნორმის ადრესატს არ შეუძლია მისი სამართლებრივი შედეგის განჭვრეტა (პროგნოზირება), ნორმა არღვევს განსაზღვრულობის პრინციპს.

2.3. სადავო ნორმის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან

არგუმენტაცია სადავო ნორმის წინააღმდეგობაზე კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლ და მე-4 პუნქტებთან მიმართებით იგივეა, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისობაზე მსჯელობისას კონსტიტუციის დასახელებულ ჩანაწერებთან. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სადავო ნორმაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მოხმობილ ჩანაწერებს.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის კონსტიტუციურობა

3.1. სადავო ნორმის შინაარსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად, სასამართლო სხდომა საჯარო უნდა იყოს, თუმცა ამავე მუხლში გათვალისწინებულია გამონაკლისი შემთხვევები. კერძოდ, საგამონაკლისო შემთხვევების ფარგლებში სასამართლო მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით ხურავს სხდომას.⁶⁹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლის მე-3 ნაწილი თავად მიუთითებს საგამონაკლისო შემთხვევების მიზანზე. კერძოდ, ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები განპირობებულია პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის, პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი

⁶⁷ გენშვაბე ი., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011,359

⁶⁸ გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 20 მარტის მეორე სენატის გადაწყვეტილება 2BvR794/95,374

⁶⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი

უსაფრთხოების დაცვის, სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით.⁷⁰

გარდა ზემოთქმულისა, სხდომა შესაძლოა დაიხუროს პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ თავად ამ მიმოწერის ან პირადი შეტყობინების სუბიექტი არ არის თანახმა ამ ინფორმაციის საჯარო სხდომაზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.⁷¹

3.2. სადავო ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან

3.2.1. სხდომის საჯაროობის მნიშვნელობა და მისი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის (სარჩელის შეტანის) შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ უზრუნველყოფს ადამიანის სრულყოფილ სამართლებრივ დაცვას. სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში არსებული შესაძლებლობათა მინიმუმი მოიაზრებს პირის უფლებას, არა მხოლოდ მიმართოს სასამართლოს, არამედ მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, რა დროსაც გამოთქვამს თავის მოსაზრებებს და დაიცავს საკუთარ პოზიციას.⁷² სასამართლო სხდომის საჯაროობა დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებშიც.⁷³

განსახილველ შემთხვევაშიც, როგორც, სხვა სადავო ნორმებთან მიმართებით მსჯელობის ნაწილში, სადავო ნორმის სავარაუდო მიზანს შესაძლოა გარკვეული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა ან სხვათა უფლებების დაცვა წარმოადგენდეს. ამ უკანასკნელში შესაძლოა იგულისხმებოდეს მოწმეთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვა და ა.შ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის მსგავსად, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ნაწილში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკითაც იმისათვის, რომ შეზღუდვა გამართლებული იყოს, იგი უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁷⁴ მსგავსი სტანდარტია დადგენილი ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერაც. კერძოდ, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა გამართლებულად ჩაითვალოს, ეს უკანასკნელი განპირობებული უნდა იყოს დაუძლეველი სახელმწიფო ინტერესით.

3.2.2. პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით სხდომის დახურვის კონსტიტუციურობა

სადავო ნორმის ფარგლებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად პირი, რომლის პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების შესახებ ინფორმაციაც შესაძლოა გასაჯაროვდეს სასამართლო სხდომაზე, თანახმაა, სასამართლოს შესაძლებლობა აქვს მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე დახუროს სხდომა. ვფიქრობთ, აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული პირის თანხმობის შემთხვევაში, რეალურად აღარ არსებობს სხვათა უფლებების დაცვის

⁷⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი

⁷¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე “ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ.1

⁷³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მაგ: „ბელაშევი რუსეთის წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

⁷⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, მაგ: „ველკე და ბიალევი პოლონეთის წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ინტერესი, ხოლო, რაც შეეხება სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესს, ვფიქრობთ, ესეც არარელევანტურია. ამგვარ შეზღუდვას აზრი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ მაშინ აქვს, როცა საქმეში ცნობილი არ არის ბრალდებული და მან ინფორმაციის გაგების შემდეგ შესაძლოა გამოძიებას ხელი შეუშალოს. ამ შემთხვევაში კი ეს საფრთხე, ლოგიკურია, არ არსებობს.

3.2.3. დასაბუთების ვალდებულება

პრობლემას ვხედავთ ასევე იმ ნაწილში, რომ სასამართლოს მიერ სხდომის დახურვის გადაწყვეტილების მიღება არ საჭიროებს დამატებით დასაბუთებას. ვფიქრობთ, ეს უფრო მეტად ზრდის უფლების თვითნებურად შეზღუდვის რისკს - ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, დაიხუროს სხდომა, რითიც რიგ შემთხვევებში ხელი შეეშალოს არა მხოლოდ საზოგადოებას, მიიღოს ინფორმაცია მართლმსაჯულების პროცესის მიმდინარეობის შესახებ, არამედ ბრალდებულსა და, ზოგადად დაცვის მხარეს, ეფექტურად დაიცვან თავიანთი პოზიცია. მათთვის სასამართლო სხდომების საჯაროობა შესაძლოა ერთგვარი გარანტიაც იყოს, რომ პროცესები ღიად წარიმართება და, შესაბამისად, ნაკლები იქნება მათი უფლებების დარღვევის რისკიც სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას.

3.2.4. გასაჩივრების უფლება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიაზრებს გასაჩივრების საკითხსაც. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაში საქმეზე „ოლეგ სვინტრადე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ : „საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი მოიცავს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის, არამედ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრის შეტანის უფლებასაც. აღნიშნული მუხლი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გარანტიას წარმოადგენს.“⁷⁵

განსახილველ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზემოთქმულ სადავო ნორმებზე მსჯელობისას, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს კონკრეტული ლეგიტიმური მიზანი, რომელიც აღნიშნულ დავაზე გასაჩივრების შესაძლებლობას გამორიცხავდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროცესის ეკონომიურობის დასაცავად არის აუცილებელი კონკრეტულ საქმეებზე გასაჩივრების უფლება შეიზღუდოს, ამ შემთხვევაში, სადავო ნორმით გათვალისწინებული ჩარევა იმდენად ინტენსიურია, რომ მხარეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, წარმოადგინოს თავისი პოზიცია, შეძლოს იდავოს საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოში. ვინაიდან ხშირად სწორედ სასამართლო პროცესების საჯაროობაა ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი სამართლიანი სასამართლო განხილვისა და დაცვის უფლებით ეფექტურად სარგებლობისათვის.

4. პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობა

4.1. სადავო ნორმების შინაარსი

პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „ბრალდებული სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე.“⁷⁶ ხოლო პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: „ბრალდებულს პატიმრობის დაწესებულებაში ყოფნისას

⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე „ოლეგ სვინტრადე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

⁷⁶ პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლის 1-ლი ნაწილი

უფლება აქვს: პენიტენციური დაწესებულების კონტროლით, საკუთარი ხარჯით აწარმოოს მიმოწერა და 1 თვის განმავლობაში სამჯერ ჰქონდეს სატელეფონო საუბარი, თითოეული - არაუმეტეს 15 წუთისა.“⁷⁷ ამ მუხლის მე-2 ნაწილი კი დამატებით მიუთითებს: „ამ მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი უფლება ბრალდებულს შეიძლება შეეზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით.“⁷⁸

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომლის საფუძველზეც ბრალდებულის უფლება, კომუნიკაცია აწარმოოს გარე სამყაროსთან იზღუდება პროკურორის დადგენილების საფუძველზე და არ იძლევა ამ დადგენილების გასაჩივრების საშუალებას.

4.2. სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან

კონსტიტუციური სარჩელით სადავოდ არის გამხდარი ზემოთქმული სადავო ნორმების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან. როგორც სხვა ნორმების კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს გასაჩივრების უფლებასაც. გასაჩივრების უფლებაში კი იგულისხმება არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციებში გადახედვის შესაძლებლობა, არამედ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლის გადაწყვეტილების გადახედვის შესაძლებლობაც. იმავე მიდგომას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც.⁷⁹

ჩვენ ვფიქრობთ, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავოა, რამდენად უნდა იზღუდებოდეს თავად პაემნის უფლება, თუმცა, იმ შემთხვევაშიც, თუ პაემნის შეზღუდვის უფლება ლეგიტიმური მიზნით იქნებოდა განპირობებული, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ამ ნაწილში სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვაც დასაშვებია. ვინაიდან, ვფიქრობთ, სადავო ნორმის ფარგლებში არ არსებობს კონკრეტული მიზანი, რომელიც გაამართლებდა ამ საკითხთან მიმართებით სასამართლო კონტროლის არარსებობას.

ზემოთქმული, სხვა სადავო ნორმების მსგავსად, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან თვითნებური ქმედებების რისკს ჰზადებს და საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობასა და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ სადავო ნორმის დასახელებული ნორმატიული შინაარსი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1-ლ პუნქტს, ვინაიდან შეზღუდვა არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

⁷⁷ პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

⁷⁸ პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი

⁷⁹ „პოსტი და რაჰკო ფინეთის წინააღმდეგ“, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

IV.თანდართული დოკუმენტების სია

ა. დოკუმენტები, რომლებიც სასურველია ერთვოდეს მოსაზრებას (გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი უჯრა)

- | | |
|--|-------------------------------------|
| 1. სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი. | <input checked="" type="checkbox"/> |
| 2. „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრების ელექტრონული ვერსია. | <input checked="" type="checkbox"/> |

ბ. სხვა დოკუმენტები:

- 1.
- 2.

მოსაზრების ავტორის ხელმოწერა:

თარიღი: